

სასარგებლო ინფორმაცია ტემპუსის პროექტებში მონაწილე უნივერსიტეტებისათვის

ზოგადი ინფორმაცია

დეტალური ინფორმაცია ტემპუსის პროექტების განხორციელების წესების შესახებ (საკონტრაქტო დოკუმენტები, ანგარიშების ფორმები, ხშირად დასმული კითხვები და ა.შ.) მოცემულია აღმასრულებელი სააგენტოს ვებ-გვერდზე:

http://eacea.ec.europa.eu/tempus/beneficiaries/beneficiaries_tempus4_en.php.

გაითვალისწინეთ, რომ უნდა გამოიყენოთ ის ინფორმაცია, რომელიც თქვენი პროექტის დაფინანსების წელს შეესაბამება - Tempus IV-ის ფარგლებში სხვადასხვა წელს (2008-2013) დაფინანსებული პროექტების განხორციელების წესები რიგ შემთხვევებში განსხვავდება ერთმანეთისგან.

მონიტორინგი

ტემპუსის ეროვნული ოფისი (ამჟამად უკვე Erasmus+ ეროვნული ოფისი) რეგულარულად ატარებს მომდინარე პროექტების მონიტორინგს. ინფორმაცია მორიგი მონიტორინგის შესახებ წინასწარ ეცნობება პროექტის კოორდინატორს და ქართველ პარტნიორებს.

პროექტების რეგისტრაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან ტემპუსის პროექტი დაარეგისტრირონ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში.

რეგისტრაცია წარმოადგენს საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წინაპირობას (განთავისუფლება დღგ-სგან, განთავისუფლება იმპორტის გადასახადისგან). ინფორმაცია რეგისტრირებული პროექტების შესახებ განთავსებულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე: <http://rs.ge/5440>.

საპროექტო მასალების გამოქვეყნების წესები (ღმგო და ა.შ.)

შემუშავებული მასალების (სახელმძღვანელო, გზამკვლევი და ა.შ.) გამოქვეყნებისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო შესრულდა ტემპუსის პროექტის ფარგლებში. ყველა პუბლიკაციას წინ უნდა უძღოდეს შემდეგი განაცხადი: “This project has been funded with support from the European Commission. This publication reflects the views only of the author, and the

Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

ასევე სავალდებულოა ტემპუსის ლოგოს გამოყენება.

ლოგოს ჩამოტვირთვა შეგიძლიათ ამ ვებ-გვერდიდან:

http://eacea.ec.europa.eu/about/eacea_logos_en.php.

ვიზა

ტემპუსის პროექტის ფარგლებში შენგენის ზონაში მგზავრობისათვის მრავალჯერადი გრძელვადიანი ვიზის მისაღებად ევროკავშირის დელეგაციამ მოამზადა მხარდაჭერის წერილი. ჩვენი ოფისი ასევე გაგინვეთ შუამდგომლობას ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებთან. გაითვალისწინეთ, რომ ევროპელი პარტნიორების მიერ მომზადებულ მოსაწვევეში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში თქვენ ხშირად მოგინვეთ ევროპაში მგზავრობა - წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნება მრავალჯერადი გრძელვადიანი ვიზის მოთხოვნის საფუძველი.